

№2. 2020 წ.  
აფელი



კონს-ვრეზული ყველაზე წაყარებისთვის

# ჟურნალ „იალქნის“ ნობათი



აბა, განი, აბა, განი,  
გაიშალა იალქანი,  
უხმობს ზურგის ქარს აფქიო,  
შევეგებოთ ჩვენც დაფიონს!

„აფქიო“ №2 (19). 2020 წ.

კონა-კრუპული ყველაზე პატარებისთვის

„აფქიოს“ ნორჩი ავტორები

ალექსანდრე მიქელაძე



ბგ. 14

ლიბი ტურიამბელო



ბგ. 20



## ნუნუ ჯანელიძე

### აჭაჭულა

აჯაჯული, დაჯაჯული,  
მუდამ შარვალჩაჩაჩული  
დადის ერთი ბიჭი,  
ბაჯლად შეკრულ პერანგიდან  
უჩანს მუცელ-ლიპი.

ნინდა – აცა, კედი – ბაცა,  
ლილი – ბრანცა-ბრუნცა,  
ტირილი და მარჯვედ ჭამა  
არ ეშლება თუმცა.



### ჩემი ველოსიპედი

ჩემი ველოსიპედით  
ყველგან სწრაფად მივედი.  
არც სანჯავი უნდა და  
არც რახრახა მოტორი,  
მივყავარ და თან მიაქვს  
ბარგით სავსე გოდორი.

მეც რომ კარგად ვიყო, თან  
გავუფრთხილდე ბუნებას,  
როგორ დამეზარება  
პედლის გადაბრუნება.

რომ მყავს ველოსიპედი,  
გზას გავყურებ იმედით.

როცა მომესურვება,  
მოვახტები ველოს,  
ქროლვა-ქროლვით მოვივლი  
ლამაზ საქართველოს.



## რა ვიწით ხოხობზე?

თბილისის დაარსების ცნობილი ლეგენდა უკავშირდება ორ ფრინველს: ხოხობსა და მიმინოს.

V ს.-ში ვახტანგ მეფე (გორგასალი) ნადირობდა და მისი დაგეშილი\* მიმინო გამოდევნებია ხოხობს. მალე ფრთოსნები, ერთმანეთს შეჭიდებულნი, ძირს ჩამოვარდნილან და ცხელ წყალში ჩაცვენილან.

მეფეს მოსწონებია ეს ადგილი და იქვე ქალაქის აშენება დაუწყია. თბილი წყლების გამო ქალაქისთვის გორგასალს „თბილი-სი“ უწოდებია.

\* \* \*



საინტერესოა, რომ ხოხობი უძველესი დროიდან ცნობილია საქართველოში და ფრინველთა შორის თავისი სილამაზითაც გამოირჩევა. ის ბინადრობს ტყეებში, ჭალებში, ბაღებში, ვენახებში. ფერთა სიჭრელით დედალზე მეტად გამოირჩევა მამალი ხოხობი. თურმე ხოხობს არ უნდა ესროლოთ, თუ დარწმუნებული არ ხართ,

რომ მას მოინადირებთ. დაჭრილი ხოხობი, მით უფრო მამალი, ხშირად მინაზე დავარდნის შემდეგაც მალევე გარბის და იკარგება. თბილისის გერბს ხოხობის სიმბოლო ამშვენებს.

\* \* \*

ძველბერძნული ლეგენდაც მოგვითხრობს ამ საუცხოო ფრინველის – ხოხობის შესახებ: მითიურ არგონავტებს (ჩვ.წ.აღ.-მდე) კოლხეთიდან, კერძოდ, ფაზისის (დღევანდელი ფოთის) ნაპირებიდან ხოხობი ნაუყვანიათ საბერძნეთში.

ეს ულამაზესი არსება ბერძნებს არასოდეს ენახათ და, ბუნებრივია, მისი სახელიც არ იცოდნენ. ამიტომაც დაარქვეს მას „ფაზიანოსი“ („ფაზისის ფრინველი“). იცით თუ არა, რომ სწორედ ამ სახელითაა ხოხობი ცნობილი არა მარტო ევროპაში, არამედ მთელს მსოფლიოში.

შუშანა მბელაძე

შემოდგომის სურათი

წვიმა მღერის, წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ,  
შველი ტყისკენ გარბის,  
ქამა სოკო ქოლგასა ჰგავს,  
თავს აფარებს ზღარბი.

ქარი უკრავს ვიოლინოს,  
წერო თევზებს იჭერს,  
დათუნია ეზიდება  
თაფლით სავსე ფიჭებს.

ციყვი ზის და საჩურჩხელე  
კაკალს ძაფზე აგებს,  
მადლიანი შემოდგომა  
მარნის კარებს აღებს!



იოსებ ნონეშვილი

ბაღნარი

– იცით, დედა-საქართველოს  
ბაღნარს რატომ ეძახიან? –  
ყველგან ლალად მოშრიალე  
ბაღია და ვენახია.

მოფუსფუსე ქალ-ვაჟები  
ასე თავს რომ ევლებიან,  
ბაღ-ბოსტნით და ბაღჩა-ბაღით  
მოქარგული ველებია.

ყველგან ლალად მოშრიალე  
ბაღია და ვენახია...

აი, დედა-საქართველოს  
ბაღნარს რატომ ეძახიან!



## ბრიყვი და ჭკვიანი

აკაკი წერეთელი



ბრიყვი და ჭკვიანი შეიყარნენ გზაჯვარედინზე. ჯერ გამარჯობა უთხრეს ერთმანეთს და მერე ჰკითხა ჭკვიანმა: „სად მიდიხარო?“ „არსად! აგერ, ცხრამთას იქით, სატირალში მეძახიანო! – უპასუხა ბრიყვმა. – შენ სადლა მიდიხარო?“ მეც აგერ, ამ მთას გადაღმა, ქორწილში მეპატიუებიანო!“ „ღმერთმა კარგი მოგცეს, ერთი გზა გვექონიაო!“

დაადგნენ ორივე ერთად შარას და გააბეს საუბარი. პირველ მთის ძირამდი რომ მივიდნენ, მოშივდათ, სადილი მოინდომეს; დასხდნენ, მოიხსნეს გუდა-ხურჯინები, ამოალაგეს საგზალი და დაუნყეს ჭამა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ბრიყვმა უთხრა ჭკვიანს: „კატასავით რომ იცუცნები, სთქვი რამე! ხომ იცი, რომ ხმის გაუცემლობა მომდურაობას ნიშნავსო? მართალია, მაგრამ არც ბევრი ლაპარაკი ვარგა სუფრაზეო! – უპასუხა ჭკვიანმა, – თუ მაინცდამაინც აღარ იშლი, შენ „ციცუ-ციცუ!“ მიძახე და მე „მიაჴ-მიაჴს“



დაგიძახებო. მოენონა ბრიყვს და მოჰყვა „ციცუ-ციცუს“ ძახილს... პირში ველარა ჩაიდვა რა. „მიაჴ-მიაჴ-მიაჴო!“ – იძახდა ჭკვიანი და თან იტენდა პირს...

სუფრა რომ აიღეს, ჭკვიანი გამაძლარი დარჩა და ბრიყვი კი მშვიერი. მთა რომ გადაიარეს, ბრიყვს კიდევ უფრო მოშივდა და ამხანაგს უთხრა, ვისამხროთო! „კარგიო, მაგრამ ერთი ხაჭაპურის მეტი აღარ დაგვრჩენია რაო და ის ან შენ არ გეყოფა, ან მეო...“

თუ გინდა, სანაძლევეო დავდვათ: ერთ თავში შენ მოუჭირე კბილი, მეორეში მეო; გავსნი-გამოვსნიოთ ვინც წაართვას, იმას დარჩესო, უპასუხა ამხანაგმა. „კარგიო, – დაეთანხმა ბრიყვი, – მაგრამ შენ ახლა „ციცუ-ციცუ“ იძახე და მე „მიაუს“ დავიძახებო.



მორიგდნენ, მოუჭირა ჭკვიანმა კბილები ხაჭაპურს და მოჰყვა „ციცუ-ციცუო!“ მოუჭირა მეორე თავში ბრიყვმაც კბილები და დაიძახა „მიაუო!“ გაალო პირი, გამოუვარდა ხაჭაპური და წააგო სანაძლევეო, მოჰყვა წუნუნს, რაღა ვქნა ახლა მშიერმა: შორი გზა მაქვს და საგზალი გამომელიაო! „არა გიჭირს რაო, – ანუგეშა ჭკვიანმა, – დაბრუნდი შინ ცოლ-შვილში, ახალი საგზალი გამოაცხობინე, მაგრამ ბევრი თუ არ იქნა, „ბრიყვის საგზალი მალე დაილევაო“.

1884 წ.


## თეზურ შავლაძე

### გაბუტული გოჭი



გაიმართა ყვინთვაში  
შეჯიბრება მკაცრი,  
ყველას იხემა აჯობა –  
პრიზი ერგო ნამცხვრის.

გაბუტული ღუტღუტებს  
ღრუტუნია ნავში:  
– თუ კარგია, გამეჯიბრეთ  
მინის სწრაფად თხრაში!



გელათის ტაძარი

უდიდესი ქართველი მეფე დავით აღმაშენებელი დასაფლავებულია გელათში. ამბობენ, სიკვდილის წინ დაუბარებია, გზაზე დამმარხეთ, რომ ჩემმა ხალხმა ჩემს მკერდზე იაროსო. მისი სახელი ჰქვია ქართულ სახელმწიფო დროშას – „დავითიანი“.

ყველა მწვანე მცენარის მსგავსად, ტყის ხეებიც გამოყოფენ ყანგბადს. მათ გარეშე ყანგბადი არ გვექნებოდა და სუნთქვას ვერ შევძლებდით.

მკვდრეთით აღმდგარი იესო როდესაც მოწაფეებს გამოეცხადა, მათ შორის არ იყო თომა. იესოს შესახებ მეგობრების ნამბობი თომამ არ დაიჯერა. რვა დღის შემდეგ, როცა მან თავადაც იხილა უფალი, მხოლოდ მაშინ ირწმუნა და სიხარულით აღივსო. აქედანაა გამოთქმა „ურწმუნო თომა“.

ალბატროსი ზღვებისა და ოკეანეების ფრინველია. მისი გაშლილი ფრთები 4,5 მ-ს აღწევს.



ალბატროსი

ნაკრტენი ძველად ერქვა ფრინველის ბუმბულს.



მონგოლფების ბურთი

ჰაერში პირველად იმოგზაურეს – ცხვარმა, იხვმა და მამალმა. ისინი 1783 წელს ფრანგი ძმების – ჟოზეფ და ეტიენ მონგოლფების მიერ აგებული ცხელი ჰაერის ბურთით აიჭრნენ ცისკენ. ერთი წლის შემდეგ ამ ბურთით ორმა მამაკაცმა გადაიფრინა პარიზის თავზე.

ჭრიჭინებს ფრთების ძირში აქვთ წამონაზარდები, რომელთა ერთმანეთზე გახახუნება ჭრიჭინის ხმას გამოსცემს.

აღამიანებს, რომლებიც ერთმანეთისგან ვერ არჩევენ წითელ და მწვანე, ან ლურჯ და ყვითელ ფერებს, ჰქვიათ დალტონიკები. ინგლისელ მეცნიერს ჯონ დალტონს ჰქონია მხედველობის ეს ნაკლი, პირველმა მან აღწერა ეს დაავადება და მის პატივსაცემად ეწოდა ეს სახელი.

ლიფსიტა – ახლადგამოჩეკილი თევზია.

ნექტარი – ტკბილი წვენია, რომელსაც ყვავილები გამოყოფენ. ულამაზესი პუპლები იკვებებიან მხოლოდ ნექტრით.

ოფოფის ბარტყები საშინლად ლორმუცელები არიან და მუდმივად ითხოვენ საკვებს. ოფოფი საკვებით პირში დღეში ბუდესთან ასჯერ მაინც მიფრინდება.



ოფოფი

## ძალდი არასოდეს ივინყებს სიკეთეს

**ჯორჯ ვესტი**

ამერიკელი სენატორი

ძალდი გამოირჩევა ერთი არაჩვეულებრივი თვისებით – ის არასოდეს ივინყებს სიკეთეს. სიცოცხლის ბოლომდე ოთხფეხა არსება თავისი გულმონყალე მეურვის\* ერთგულია.

სასტიკი სამყაროში ადამიანის ერთადერთი ყველაზე საიმედო, კეთილი მეგობარი, რომელიც მუდამ მის გვერდითაა, არასოდესაა უმადური და არც არასოდეს ღალატობს მას, ეს ძალდია.

ძალდი ადამიანთან ერთად ცხოვრობს სიმდიდრეშიც და სიღარიბეშიც, მაშინაც, როცა ჯანმრთელადაა და მაშინაც, როცა ავადაა.


ძალდი მაშინაც კი კოცნის იმ ხელს, როცა იმ ხელს მისთვის ფინჯანი წყლის განვდენაც არ შეუძლია.

ოთხფეხა ლოკვა-ლოკვით ცდილობს, მოუშუშოს ჭრილობები და ნაკანრები, რომელიც მის პატრონს დაუნდობელმა სამყარომ მიაყენა.

ძალდი დარაჯობს თავისი უღარიბესი მეპატრონის ძილსა და სიმშვიდეს ისეთი თავგანწირვით, თითქოს გვერდით უფლისწული ჰყავდეს.

როცა მიდიან დანარჩენი მეგობრები, ის რჩება.

მაშინაც კი, როცა ირგვლივ სიმდიდრე ქრება და ყოველივე ნამსხვრევებად იქცევა, ძალდი სიყვარულის ისეთივე ერთგული რჩება, როგორც მზე ცის.



გერმანული ნაგაზი  
გამორჩეულად გონიერია

1870 წელი.



ოიარ ვაციბთისი  
თარგმნა ღალი მუხბაქნ

ცეკვა „გირჩული“

გირჩი, გირჩი, გირჩული,  
ტოტებზე დაკიდული,  
ფანცქვალეზენ ფანცქვლები –  
გირჩში ციცქნა მარცვლები.

თითო გირჩის მარცვლიდან  
ცხრა ფიჭვი იბადება,  
ხუმრობა ხომ არ არის  
ტყის ასეთი მატება?!

ბილიკს ნელა მიჰყევი,  
ფრთხილად, დაბლა იყურე!  
არ გასრისო გირჩები –  
მომავალი ფიჭვები!

კალთა-პეშვი ავიგსეთ,  
ფიჭვო, ციცქნა ბურთებით,  
დრო გაივლის და ისევ  
მინას დაუბრუნდებით.

ჰოდა, დავრგოთ ხეები  
გოგონებმაც, ბიჭებმაც,  
რომ სამშობლოს ტყეებში  
სულ იცეკვონ ფიჭვებმაც!

მხატვარი ი. პიგოზნისი

ბავშვებო, მეფე ერეკლეს ეს ამბავი დაიბეჭდა 125 წლის წინათ, 1895 წელს, ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „ივერიაში“.

## მეფე ერეკლეს თუში დარაჯი

ერთი თუში იდგა დარაჯად მეფის სასახლეში, თელავში. სალამო ხანს მეფე უნდა შესულიყო სასახლეში.

თუშმა დაუძახა, ერეკლემ არ უპასუხა.

თუში დაენია მეფეს და ერთი გვარიანად უთავაზა. ერეკლემ უთხრა:

– რას შვრები, ბრიყვო, შენს მეფეს რათა სცემ?!.

თუში, რასაკვირველია, შეკრთა და შეშინებულმა ვერა უპასუხა და ელოდა სასტიკ სასჯელს მეფისგან.

ერეკლემ მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

– ყოჩაღ, თუშო, ეგრე ფრთხილად უყარაულე მეფის სასახლეს!



თელავი. ერეკლეს სასახლის კარიბჭე

ნანა გასვიანი

## ნიცას ციცა



დაიძახა უცებ: – ჭიტა!

გაიშალა ბევრი ტიტა.

ყვირის ნიტა: – სად ხარ, რეზო?  
გადანითლდა ჩვენი ეზო,  
მომეხმარე, ბიჭო, კოლა,  
შეგკრათ დიდზე დიდი კონა,  
რომ ლარნაკში ჩავდოთ ნაზად,  
ოთახში შესძენს შნოს და ლაზათს.

სანდრო, 5 წლის:

დედიკო შეეკითხა სანდროს:

– სანდრიკა, თუ იცი, სად ცხოვრობს პეპელა?

სანდრო არც დაფიქრებულა:

– პეპელა ცხოვრობს ყვავილში და იქ სძინავს.

სანდროს გონივრული პასუხებით განებივრებულ

დედიკოს სხვა შეკითხვაც დაებადა:

– ის თუ იცი, როცა იღვიძებს, რას აკეთებს პეპელა?

სანდრიკამ ამჯერადაც იყოჩაღა:

– როცა იღვიძებს, პეპელა დაფრინავს და მინდორში

მიდის სამუშაოდ!..



ზურიკო, 4 წლის:

ტკბილეულის მაღაზიაში პატარა ზურიკოს

ყურადღება მიიქცია კანფეტების ჭრელმა კოლოფმა, წარწერით „რახათ-ლუხუმი“. დაიჩემა, მიყიდეთო. დედიკომ აუხსნა, რომ ეს კანფეტი მას არ მოეწონებოდა. ზურიკო გაჯიუტდა, შევჭამ, მიყიდეთო.

– ერთი არ შეჭამო! – „გაუბრაზდა“ დედა.

ზურიკომ ნაყიდი კოლოფიდან ამოიღო ერთი ცალი კანფეტი და ჩაკბინა.

სახეზე დაეტყო, რომ არ მოეწონა. თუმცა შეეცადა თავის დაძვრენას.

ნაკბეჩი „რახათ-ლუხუმი“ კოლოფში დააბრუნა და დედამისს ახედა:

– დედიკო, დანარჩენს და ყველას ხვალ შევჭამ!..

თორნიკე, 6 წლის:

თორნიკემ და მისმა ძმამ, ერთი წლით უფროსმა გიორგიმ, იმ ზაფხულსაც სურამში ერთად დაისვენეს. გიორგი ხშირად ახსენებდა, მალე შენც ჩემსავით სკოლაში ივლიო.

დადგა სასწავლო წლის პირველი დღე. თორნიკე დადუდას (ასე ეძახდა დედიკოს) პირველად მიჰყავდა სკოლაში.

უკვე სკოლის ეზოს უახლოვდებოდნენ, დადუდამ ერთხელაც რომ შეახსენა მოუსვენარ ბიჭუნას ქცევის წესები; რომ არ ეცეღა, არაფერი გაეფუჭებინა, მასწავლებლისთვის დაეჯერებინა...

თორნიკეს დიდი თვალები კიდევ უფრო დიდი გაუხდა და იკითხა:

– დადუ, სამთვიანი არდადეგები გიორგის ხომ უკვე ჰქონდა და მე როდის დამენწყება?



### გიორგი წერეთელი

### ბებოს თვალისჩინი

ბებომ თქვა – თვალისჩინი ხარ, –  
სულ მზეს და მთვარეს მადარებს...  
ნეტავ, ვიცოდე, დიდები  
რად გვატყუებენ პატარებს?

თუ ბებოს თვალისჩინი ვარ,  
სათვალეს რაღად ატარებს?



### ნათია ჯანაშია

### ყარისი

სტომატოლოგს შესჩივლა  
პანანინა ნიამ:  
– ჩემი თეთრი კბილები  
შემიჭამა ჭიამ.



შემძვრალიყო ატამში  
ან დაშაქრულ ბალში,  
თუნდაც, სულ გადაეხრა  
ჩემი ეზოს ვაშლი,

არ გავუბრაზდებოდი,  
გეფიცვებით დედას,  
ჭიასაც ხომ სჭირდება  
სათანადო კვება?!



მაგრამ ჩემი კბილები  
რა ნამუსით დახრა?  
აი, როგორ ვანანებ,  
თქვენ თვითონაც ნახავთ!

მხრებს იჩეჩავს ექიმი:  
– რა მატლი და ჭია?  
შენ რაც ჭია გგონია,  
კარიესი ჰქვია!



ალექსანდრე მიქელაძე

ჯეი ძალიან ჰატახა, მაგჰამ ძალიან გონიეი **ალექსანდრე მიქელაძე** მხოლოდ 3,5 წლისაა. ემზადება ბალისთვის და ამას აჰჰოტესტებს.

ჰატომ უნდა გააჰოტესტოს? იმიტომ, ჰომ ყოველთვის ყველაფეი უნდა დაუსაბუთო: ანუ, ბაღში იმიტომ უნდა ნავიდეს, ჰომ იქ ბუეჰი სათამაშოა, უყოლება ბუეჰი ჰაჰგი მეგობაჰი, გაეჰითობა "აინონა-დაინონათი", სასჰილოთი; ჰომ დაგყვეს, უნდა დაგიჯეჰოს. მედამ აინტეჰესებს ჰასუხი ეითხვაზე - "ჰატომ აჰ შეიძლება?"


ჰა უყვაჰს? ეზოში რასვლა და მასზე ბუეჰად ეფეჰსებთან ეჰითიეჰითობა. ზღაჰეების მოსმენა ძირის წინ; უყვაჰს ცხოველები და სათამაშო ძალრი, ჰომელსაც დაჰეჰვა "ჩიკა". უყვაჰს სასაცილო სიყვეების გამოგონება და ამაში მასთან ინტეჰიუეც დაგაჰნმუნებო.

ვისთან მეგობჰობს? დედიყოსთან, ჰომლის ყოველ იღით სამსახეჰში გაშვება ძალზე ემიძიმს. ჰანო ბაბუსთან, ჰომელიც ყოველთვის ყველაფეის უსჰელებს და სშიჰად ეჰითადეც სეიჰნობენ. დაჰნმუნებელია, ჰომ ბაბუ ყოველისშემძლეცაა.

ჰა აჰ უყვაჰს? თქვენ ნაჰმოიღგინეთ, ნაყინი, ჰომელიც მისთვის თეჰმე ცვიკა; აჰ უყვაჰს აჰე შემწვაჰი ჰაჰყოფიღი.

ჰაზე ოცნებობს? ხან ამბობს, ეჰიმი უნდა გამოვიდეო, ხან დეჰგადი და ხანაც მძლოღი. ძალიან თბიღი და მოსიყვაჰეღეა, ცოტა განწყობის "ჰაციცაა". დასასჰეი აჰა აქვს ღლის მანძიღზე მის მიეჰ დასმულ შეჰითხვებს. ეითხვებზეც ხალისანად ჰასუხობს.

- თუ იცი, რა არის ოცნება?
- ოცნება არის ლუტუნი, დედიკო რომ მოგილუტუნებს.
- ადამიანებს ლამე რატომ სძინავთ?
- კარგი სიზმრები რომ დაესიზმროთ.
- იცი, რა არის სიყვარული?
- კი, სიყვარული დედიკოა.
- თუ იცი, სად არის ჩიტების თბილი ქვეყანა?
- ვიცი, ბუდეში.
- რატომ აქვს ზღარბს ეკლები?
- ცუდებს რომ უჩხვლიტოს.
- სათვალე რისთვის სჭირდებათ ადამიანებს?
- მზემ თვალეებში რომ არ შეუჭყვიტინოს.
- რატომაა წყალი სველი?
- იმიტომ, რომ წყალს პირსახოცი არა აქვს.



ალექსანდრე მიქელაძე

- ვინ არის ღორმუცელა?
- ჩემი ბაბუ, ჯანო ბაბუ.
- თუ იცი, ადამიანები რატომ ჭამენ საჭმელს?
- ვიცი, რომ არ დაიღალონ და კორონა არ დაემართოთ.
- რისთვისაა საჭირო ტელეფონები?
- ბებოებს რომ დაურეკონ.
- როგორია ლიმონის წვენი?
- ყვითელი და დაჭყანული.
- თუ იცი, სად ინახავენ დოლარებს?
- ვიცი - მინშირკში (ეს ალექსანდრეს მორიგი გამოგონილი სიტყვაა.

რედ.)

- როგორია პირამიდა?
- ასეთი დიდიდიდი (შლის ხელებს).
- თუ იცი, სად არის ბრაზილია?
- ბრაზილია?!.. მმ... აი, მაგი არ ვიცი.
- რას იზამდი, პრინცი რომ იყო?
- ბევრ საჭმელს გაგაკეთებდი.
- მთვარე ღამე რატომ ანათებს?
- იმიტომ, რომ არ შემეშინდეს ღამურების.
- თუ იცი, ცაზე ვინ მიაწება ვარსკვლავები?
- ვიცი, ჩემმა ბაბუმ.

- ჩიტი თუ დაფრინავს, შენ რატომ ვერ დაფრინავ?

- არ ვიცი, ალბათ, დავეცემი. მინდა, სიზმარში ვიფრინო.

- სად იმუშავებ, როცა დიდი ბიჭი გაიზრდები?

- ბუნგანში (ეს სიტყვაც თვითონ მოიგონა. რედ.) და კიდევ სამსახურში, კიდევ დედიკოს სამსახურში.

- ადამიანები რატომ დადიან ფეხებით და არა ხელებით?

- ხელებით ვერ ივლიან, მაღაზიაში ხომ უნდა წავიდეთ, იქ სათამაშოებია.

- სანაპიროსთან ბევრი კენჭი და ქვაა, რატომ?

- მე მინახავს მხატვარი ქვა, შენ გინახავს?


- ალექსანდრე, რას ნიშნავს „მხატვარი ქვა“?

- რომ დახატეს, ისაა (ერთხელ, თურმე უნახავს ფერადად მოხატული ქვები და მას „მხატვარი ქვები“ დაარქვა. რედ.)

- თუ იცი, ვინ არის მეფე?

- მეფე? ეს მე ვარ.

- და კიდევ - შენ ძალიან კარგი და ჭკვიანი ბიჭი ხარ, ალექსანდრე.



ალექსანდრე მიქელაძე



ბივი ჭიჭინაჰა

არის სადმე?

არჩევანი, არადანი,  
ალამს ახვევს ალამდარი.  
– ამ მიწის და ამ ცის დარი  
არის სადმე?  
არსად არი!..

მაყვალა მრევლიშვილი

ყვინჩილა

ყვინჩილამ თქვა: – ვსინჯავდი  
ფერად-ფერად ნაყინებს,  
გამიცვიდა ჩიჩაყვი,  
წარამარა მაყივლებს.



ანატოლი სოსელია

ზარმაყუნას ნატვრა

ნეტავ, ვიქცე დედოფალად,  
არ დავეძებ დანარჩენს!  
ხელის ბანას, პირის ბანას,  
იქნებ, მაშინ გადავრჩე!

გულიადა ჭკალუა

ჩემი ფისო

ფისო ავად გაგვიხდა,  
გაუცივდა ყელი.  
– რას მიირთმევ? რა მოგართვათ?  
დაიჩვილა: ყვე-ე-ლი!..



# თითების ოჯახი

ნუნუ ჯანელიძე



თითების ოჯახში ცხოვრობდა 5 ძმა: ცერა, საჩვენებელი, შუა, არა და ნეკა თითი. თავიდან ყველა თითი ერთი სიმაღლისა იყო, საქმეს ერთად აკეთებდნენ და მშვიდობიანადაც ცხოვრობდნენ.

ერთ დღეს თითები ნაკამათდნენ: არა მე ვარ ყველაზე საჭირო, არა მეო. გაბრაზებულები ერთმანეთს გაებუტნენ და მუშაობასაც თავი ანებეს. მხოლოდ უფროსი ძმა ცერა შრომობდა ძველებურად, თავსაც ირჩენდა და ძმებსაც არჩენდა. დაღონებული ფიქრობდა, როგორ შეერიგებინა ისინი.

მძიმე შრომისგან ცერა თანდათან ცოტა დაიკუნთა და დადაბლდა. გვერდით მდგარმა საჩვენებელმა შეამჩნია ეს და შეეცოდა ოჯახისთვის თავგანწირული უფროსი ძმა. თუ მანამდე თითით უჩვენებდა, ასე გააკეთეო, ახლა დარცხვენილმა გადანყვიტა, ხელი შეეშველებინა ცერასთვის. მალე საჩვენებელიც ცოტა ჩამოდაბლდა, მაგრამ ამას დიდად არ შეუშფოთებია, რადგან უფროს ძმასთან ერთად მუშაობა სიმხნევეს მატებდა.

სამაგიეროდ შუა თითი მთელი დღე ძველებურად უსაქმურად იდგა და თავისი თავით ტკებობდა, სულაც არ ადარდებდა არც უფროსი ძმების გარჯა, არც უმცროსების ქარაფშუტობა. ჰო, არათითს თვალი სულ გართობაზე ეჭირა და ყოველ კვირა ქორწილიდან ქორწილში დადიოდა ძვირფასი ბეჭდებით დამშვენებული; ამიტომაც ამდენ ცეკვა-თამაშში ცოტა გახდა და დაპატარავდა კიდეც, ხოლო ტრაბახა, ბაქი-ბუქა ნეკა გაუთავებელი ლაყბობითა და აღმა-დაღმა უსაქმურად ყიალით ისე დაილია, წელამდე ძლივს სწვდებოდა არათითს.

ერთ დღეს ცერა და საჩვენებელი მინდვრად მუშაობდნენ, ხოლო შუა, არა და ნეკა თითები ბალახში კოტრიალით ერთობოდნენ. უეცრად უფროს ძმებს უმცროსების ყვირილი შემოესმათ: გვიშველეთ, დაგვეხმარეთო. ცერა და საჩვენებელი ყვირილზე გაიქცნენ და რას ხედავენ: უმცროს ძმებს ვილაც უცხოები სცემენ.

მოვიღვართ, აბა, დაგვიხვდითო, დაიძახეს უფროსმა ძმებმა და უცხოებს შეუტიეს. გულმოცემული უმცროსებიც გვერდით ამოუდგნენ ცერას და საჩვენებელს და თავდასხმელები სულ კინწისკვრით გაყარეს მინდვრიდან.

გახარებული, ბედნიერი ძმები ერთმანეთს ეხვეოდნენ და კოცნიდნენ. მართალია, ძველებურად ერთი სიმაღლის არ იყვნენ, მაგრამ უკვე ნამდვილად იცოდნენ, რომ ძმობაში ყველა საჭირო და თანასწორია; მიხვდნენ, რომ მათ უერთმანეთოდ, უბრალოდ, არ შეუძლიათ.



მურმან ხურცილავა

თავის არ უჩანს, ბოლო – კი,  
ბოსტანში ხარობს ...

ტკაცა-ტკუცი გააქვს შეშას,  
დიდ-პატარას უხარია,  
ზამთარში რომ ყველას გვათბობს,  
მოდულუნე ...

გამოიციანი...

იამბროფე...

დადგა მარტი, გაზაფხულს  
კარგი პირი არ უჩანს,  
სცივათ ადრე გაფურჩენილ  
ტყემალსა და ....

უკასუხე...

ნუკრი ჩიტიძე

სილამაზე – გარეთ,  
შინაარსი – შიგნით,  
რამდენ რამეს გვაცნობს  
და გვიამბობს ...

სხვების ხელში მარჯვობს,  
ოსტატია კემსვის,  
ძაფის მეგობარი  
გრძელფეხება ...

დაასრულე...

ცალ ფეხზე დგას ქუდიც აქვს,  
გიგანტ სოკოს მოჰგავს,  
წვიმასა და მზისაგან  
გვიცავს ყველას ...

პატარა ნინია ისვენებდა სოფელში. ერთ დღესაც ნინია ბუბოსთან ერთად ჩავიდა ბაღში, სადაც მათ ერთად დაკრიფეს ხილი, კენკრა, შეაგროვეს ბოსტნეული და კალათებში ჩააწყვეს. ბუბო შეეკითხა ნინიას, აბა, დაითვალე, შენს კალათში რამდენი ხილი, ბოსტნეული და კენკრაა? მოდი, პატარებო, ამ შეკითხვას ნინიასთან ერთად თქვენც უპასუხეთ და დაასახელეთ თითოეული.





„მომლარული ჩიტები“. ლიზი ტურინაშვილი. 9 წლის.